ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3808580

ნომერი: AR1572361

თარიღი : 24.01.2018

გაცემის თარიღი : 05.02.2018

გაცნობის თარიღი : 06.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმის , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ტარიელ სინჯარაძე პ/ნ 01024029494
- თბილისი საირმის ქ. N 20ა

ორგანიზაცია:
- ტაო გრუპი კოდი: 404992763

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1301
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 31.08.2011

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ბესიკ მორბედაძე
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ბაზისი"XXI
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202235296

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ტაო გრუპი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404992763
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ტარიელ სინჯარაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024029494

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 380.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 337.9
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1713.1
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1108.7
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 146.6
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 169.4
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 288.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 5190.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 4260.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 930.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 26.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 22.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.7
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 177.4 კ1=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1269.9 კ2=3.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 41.7=კ3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1523654
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 14.08.2014

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1523654
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.08.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული №AR1572361 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

- ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე მოხდა ფუნქციური ზონის ცვლილება, საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებაზე.

1.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : არ არის სწორი. მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტით განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ტერიტორიის ფართობის მინიმალური წილი, რომელიც არ უნდა იყოს დაფარული, ან გადაფარული რაიმე სამშენებლო თუ სხვა მასალით, რომლის ქვეშაც არ უნდა არსებობდეს რაიმე ნაგებობა, ან სათავსი, ამასთან მოასფალტებულ გზის საფარსაც ვერ იანგარიშებთ კ–3 კოეფიციენტში.

2.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:

- პანდუსი დატანილი უნდა იყოს შესაბამისი გრაფიკული აღნიშვნით.
- პანდუსებზე დატანილი უნდა იყოს საწყისი და ბოლო ნიშნულები, ასევე გაბარიტული ზომები.
- გაითვალისწინეთ, რომ ეზო არ იანგარიშება ფართობში (აღნიშნული გასათვალისიწნებელია ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე).
- პროექტით გასათვალისიწნებელია შშმპ მისაწვდომობა, მათ შორის პანდუსი მოწყობილი უნდა იყოს შესაბამისი ნორმების გათვალისიწნებით.
- "1-4" და "4-1" ფასადზე მოწყობილი აივნებით ირღვევა სამეზობლო მიჯნა.
- "ე-ა" ღერძებში მხოლოდ გარკვეულ სიმაღლემდეა შესაძლებელი ღიობების მოწყობა - თუ შენობის საანგარიშო სიმაღლე არ აღემატება 7,5 მეტრს, მაშინ შენობის სამეზობლო საზღვრიდან 3,0 მეტრით დაშორების შემთხვევაში შენობის საანგარიშო ზედაპირზე შესაძლებელია მოეწყოს კარი, ფანჯარა, სამტრედე და სხვა ღია ნაწილები. 3.0-დან 7,5 მეტრით დაშორების შემთხვევაში – შემდეგი ფორმულის შემდეგი შეფარდების შესაბამისად: დაშორება გაყოფილი 0.4-ზე. დანარჩენ შემთხვევაში შესაძლებელია ღიობები გამოიჭრას 7,5 მეტრის შემდეგ.
- გასათვალისწინებელია ავტოსადგომის მოწყობა ბინების რადეონობის შესაბამისად.
- საჭიროა ნახაზზე კონტურით მონიშნოთ კორექტირებული კვანძები და განმარტოთ ცვლილებები, შენიშვნის სახით. თუ კონკრეტულ ნახაზზე ცვლილება არ არის - ასეც განმარტეთ.

3.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: მოსაპირკეთებელი მასალის ფერები მითითებული უნდა იყოს RGB ან RAL კოდების მიხედვით;

4.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: გაითვალისწინეთ, რომ სიმაღლის განსაზღვრის რეგულირების ხაზი არ უნდა კვეთდეს საპროექტო შენობას.

5.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : განახლდეს ხარვეზების გათვალისწინებით.

6."ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში: ვერ ხდება წარმოდგენილი გადახდის ქვითრის იდენტიფიცირება.

7."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: გადახდილ იქნას განაშენიანების ფართობის შესაბამისად, კვადრატულ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

8.არსებობის შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათის pdf ფაილი.: წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი.

9.საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: მითითებული ნაკვეთის კოდი არ ემთხვევა საპროექტო მიწის ნაკვეთს.

10.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: წარმოდგენილი უნდა იყოს კორექტირებული პროექტის გათვალისწინებით.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ ადგენს ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.